ყაზბეგის რაიონი რუსული ჰიბრიდული ომის პროპაგანდისტული პოლიტიკის ჭრილში

ნათია ჯალაბაძე
საქართველო

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ყაზბეგის რაიონი კრემლის ინტერესების სფეროში მოექცა და დღემდე სამეცნიერო და პოლიტიკური დისკურსის მუდმივი ობიექტია. საქართველო-რუსეთის საზღვართან მიმდებარე გეოსტრატეგიულად ძალზე მნიშვნელოვანი ეს სივრცე, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში წარმოადგენდა კავკასიის ქედის გასწვრივ გამავალი თავდაცვითი ზღუდის ერთ-ერთ მონაკვეთს. სსრკ თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მიერ დადგენილი თავდაცვითი გეგმა ნატოსთან სავარაუდო ომის შემთხვევისათვის შეიქმნა და მოიცავდა 3 თავდაცვით ზღუდეს: 1. სახელმწიფო საზღვრის პერიმეტრზე (დღევანდელი საქართველო-თურქეთის საზღვარი)[1] 2. კავკასიის ქედის გასწვრივ და 3. სიღრმეში, როსტოვის ოლქისა და სტავროპოლის მხარის ტერიტორიაზე. გეგმის თანახმად, კავკასიის ქედზე გამავალი ზღუდის სრულყოფილი დაცვა საჭიროებდა სამხრეთის მიმართულებით დაახლოებით 40 კმ-იანი ზოლის კონტროლს, რომლისგანაც 20 კმ. ქედიდან სამხრეთით აქტიური დაცვის სივრცეა, ხოლო შემდგომი 20 კმ. კი პასიური დაცვის. საბჭოთა კავშრის დაშლის შემდეგ რუსეთის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ საზღვარი დაფიქსირებულიყო კავკასიის ქედის გასწვრივ, საქართველოს მთიანეთის კონტროლის პერსპექტივით. როგორც ქართველი ექსპერტები აღნიშნავენ, სწორედ აქედან გამომდინარეობს რუსეთის აქტიურობა კავკასიის ქედის მიმდებარე საქართველოს ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად[2].

საქართველოს საზღვრების შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერდა: „თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველ ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით კი მის ტერიტორიას შავი ზღვის, ხოლო აღმოსავლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული. ამ მხრივ საქართველო ერთს საუცხოვოდ გარემოზღუდვილს ქვეყანას წარმოადგენს. სხვათა

[1] „საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს ნატო-ზე ორიენტირების შემდეგ, რუსეთის გენერალური შტაბის სავარაუდო გადაწყვეტილებით, მეორე თავდაცვითი ზღუდე ავტომატურად იქცა ძირითად ზღუდედ, შესაბამისად მან შეიძინა განსაკუთრებული ფუნქცია“. მ. არეშიძე. საქართველო-რუსეთის საზღვარი: არსებული მდგომარეობა და საფრთხეები. საქართველო-2009, ომისშემდგომი გამოწვევები და პერსპექტივები, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი, თბ., 2010.

[2] იქვე, გვ. 42.

შორის ამ პირობების წყალობითაც შესძლო ქართველმა ერმა თავის ხანგრძლივ ისტორიულ არსებობის დროს მრავალ, ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერი მტრების მოგერიება და თავისი ეროვნების დაცვა. ეს გარემოება საქართველოს მტრებსაც ესმოდათ და ამიტომ არა-ერთხელ ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მონაპირე კუთხის დაჭერა და ჩამოშორება უცდიათ"[1]. სწორედ ამ მონაპირე კუთხეების დაჭერა-ჩამოშორებას მიზანმიმართულად ახორციელებს კრემლი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე.

რუსეთის მცდელობა, არ გეშვა საქართველო თავისი კონტროლის სფეროდან, ჩვენი ქვეყნისთვის სავალალო აღმოჩნდა. 1990-იან წლებში ინიცირებული აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები საბოლოოდ საქართველოს ამ ძირძველი კუთხეების ანექსიით და დამოუკიდებელ პოლიტიკურ (თუმცა არაღიარებულ) ერთეულებად ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა. ექსპერტი მ. არეშიძე აღნიშნავს, რომ 2004 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთის ხელისუფლებისათვის ნათელი გახდა, რომ საქართველოს ნატოსკენ ლტოლვამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო, მან აქტიურად დაიწყო მუშაობა საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ექსპანსიისათვის და საზღვრისპირა რეგიონების მიტაცებისათვის[2]. საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთის ოფიციალური თბილისის კონტროლის მიღმა დარჩენაც ამ პოლიტიკის შედეგია. თუმცა, როგორც ზემოთაც ითქვა, კრემლის/ოსეთის ინტერესები კიდევ უფრო შორს მიდის და 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ ყაზბეგის რაიონი მისი ახალი სამიზნე ხდება.

თავდაპირველად ჩვენი ოპონენტები აქცენტს ყაზბეგის რაიონის ოსებით დასახლებულ ტერიტორიებზე აკეთდებდნენ, კერძოდ, თრუსოზე და კობზე (ასევე ღუდაზეც, არაგვის სათავეებში); როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში ნ. ნათაძე თრუსოს ხეობასთან დაკავშირებით აღნიშნავდა „...მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ჩვენი მტრისთვის. პრეტენზიები თრუსოზე არის რუსების მიერ „შახის" თქმა საქართველოსთვის და საერთოდ, დასავლეთისთის"[3].

ძალიან მალე ცხინვალის/კრემლის პრეტენზიები მთელი ყაზბეგის რაიონზე გავრცელდა. 2009 წელს, კოკოითმა ოფიციალურად პირველად გააჟღერა თრუსოს ხეობასთან დაკავშირებული თავიანთი გეგმები, აღნიშნა, რომ აგვისტოს ომის დროს მათ შექმნეს ძლიერი სამხედრო დაჯგუფება,

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები. ტფ., 1919, გვ. 2: https://javakhishviliinstitute.files.wordpress.com/2009/07/javaxishvilisazgvrebi.pdf

[2] მ. არეშიძე. საქართველო-რუსეთის საზღვარი. გვ. 42.

[3] ე. აბესაძე. ვისი მიწაა თრუსოს ხეობა და რა სურთ სეპარატისტებს. 2014: https://for.ge/view/35728/visi-miwaa-Trusos-xeoba-da-ra-surT-separatistebs.html

რომლის მიზანი იყო არამხოლოდ ლენინგორის რაიონის დაკავება, არამედ თრუსოს ხეობის და ყაზბეგის ისტორიული ოსური მიწების მიერთება ოსეთისთვის: „უკვე მზად მყავდა რაზმი, რომელიც ამ ამოცანას შეასრულებდა, ანუ ყაზბეგამდეც მივიდოდა“[1].

ცხადია, ამ სივრცეზე კონტროლის მოპოვების სურვილი საქართველოს სამხედრო გზის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მონაკვეთის ხელში ჩაგდების ინტერესითაა გამოწვეული, რაც სამხრეთ კავკასიასთან მიმართებით რუსეთის შორსმიმავალი გეგმის ერთი ნაწილია; სხვა სარგებელთან ერთად, ეს გზა, რუსეთის სომხეთთან დამაკავშირებელი უმოკლესი მაგისტრალიცაა. ოპონენტთა მტკიცებით, ყაზბეგის რაიონში ოსების სამოსახლო ტერიტორია ოსების ისტორიული სამშობლოა, ე.წ. აღმოსავლეთ ოსეთი (ზოგჯერ ცენტრალურადაც მოიხსენიებენ) და პროპაგანდისტული ბერკეტების მეშვეობით ამკვიდრებენ აზრს რომ ეს „აღმოსავლეთ ოსეთი“ ისტორიულად ოსების კუთვნილება და ძირძველი ოსური ტერიტორიაა, რომელიც ბოლშევიკებმა ოსი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, უკანონოდ მოგლიჯეს მათ სამშობლოს და 1920-იან წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ადმინისტრაციულ მმართველობას გადასცეს[2]. ის არგუმენტები კი, რომელიც ოს სწავლულებს (და არამარტო მათ) ამ „კონცეფციის“ დასასაბუთებლად მოჰყავთ, მეცნიერულ საფუძველს არის მოკლებული და რეალობისგან შორს დგას.

2021 წელს გამოვიდა ქართველ მეცნიერთა კოლექტიური ნაშრომი „თრუსო – ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები“, სადაც ისტორიკოსების,ეთნოლოგების, ხელოვნებათმცოდნეების, არქეოლოგებისა და არქიტექტორების მიერ საფუძვლიანად არის შესწავლილი ეს მხარე და დასაბუთებულია, რომ ყაზბეგის რაიონი ყოველთვის საქართველოსგან განუყოფელი იყო. ოსები აქ გვიან მოსულები არიან, მათ თრუსოში მანამდე მცხოვრები დვალები ჩაანაცვლეს, რომელთა ნაწილი ამ ტერიტორიიდან გადასახლდა, ხოლო ნაწილი ოსებს შეერწყა; ოსურმა ელემენტმა იმძლავრა ადგილობრივზე, თუმცა გაითავისა დამხვდური ეთნიკური ჯგუფის კულტურის ელემენტები (საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობების ტიპები, მშენებლობის ტექნიკა, მეურნეობის ფორმები, ტოპონიმიკა, რელიგიური კულტები და ტრადიციები და სხვ.). ნაშრომის საფუძველზე ნათლად გამოჩნდა, რომ კრემლის მიერ წაქეზებული ოსი სწავლულები, გაყალბებული ისტორიის მოშველიებით, იღწვიან ეს ტერიტორია ოსების

[1] გ. კალანდაძე. კოკოითმა „დიდი ოსეთის“ საზღვრები მოხაზა. 26 აგვისტო, 2013: https://experti.ge/

[2] თრუსო – ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები. რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით. თბ., 2021, გვ. 14.

უძველეს სამშობლოდ წარმოადგინონ[1]; შესაბამისად, კანონიერად მიაჩნიათ ამ ტერიტორიების სამხრეთ ოსეთისთვის მიკუთვნების მოთხოვნა, რაც საბოლოოდ „ორი ოსეთის“ გაერთიანებით უნდა დასრულდეს; რუსეთი კი ამგვარად ჩაიგდებს ხელში მისთვის გეოსტრატეგიულად ძალზე მნიშვნელოვან არელს.

2013 წელს დაიბეჭდა რუსი პოლიტოლოგის, სტრატეგიული კონიუნქტურის ცენტრის ექსპერტის, მ. ჩერნოვის წიგნი „Осетия: рождение большой мечты“ (ოსეთი, დიდი ოცნების დაბადება), რომელიც საქართველოსთან მიმართებაში კრემლის ოსური სცენარის ქარგად შეიძლება ჩაითვალოს. ეს „დიდი ოცნება“ რამდენიმე ეტაპისაგან შედგება და საბოლოოდ ისტორიულ ტერიტორიადაბრუნებული და გაერთიანებული ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლით უნდა დაგვირგვინდეს. ავტორი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ოსეთის პრობლემა რუსეთისთვის მეტწილად არა საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკის საკითხია და თუ რუსეთის შემადგენლობაში რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთი არ შევა, რუსეთის მთელი კონსტრუქცია კავკასიაში დიდწილად დაინგრევა[2]. მ. ჩერნოვის ამ წიგნის შესავალს ასეთი სათაური აქვს: Единая Осетия: объединение всех осетинских земель в составе Большой страны (ერთიანი ოსეთი: ყველა ოსური მიწის გაერთიანება დიდი ქვეყნის შემადგენლობაში), რაც ნაშრომის მთავარი იდეაა.

ი. ამელინა, დღეს კავკასიის გეოპოლიტიკური კლუბის მდივანი-კოორდინატორი და საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის „Границы Настоящего“-ს ხელმძღვანელი, რომელსაც პოლიტიკურ წრეებში ოსების ინტერესების დამცველად მოიაზრებენ, მ. ჩერნოვის წიგნის წინასიტყვაობაში იზიარებს ავტორის იდეას ერთიან ოსეთთან მიმართებაში და წერს: „ოსები გადაჭრიან დიდ ამოცანებს ერთიანი ოსეთის, რუსეთის და ხალხთა ევრაზიული კავშირის მასშტაბით. საქმე ეხება არამხოლოდ დღევანდელ სამხრეთ ოსეთს, არამედ ახლანდელ საქართველოში შემავალი თრიალეთის ოსეთის, ყაზბეგისა და გორის რაიონების მიწების, აგრეთვე ქალაქი ონის და მისი მიმდებარე ტერიტორიების ერთიანი ოსეთის შემადგენლობაში დაბრუნებას. ვლადიკავკაზში და ცხინვალში აშკარად ამაზე ჯერ საკმარისად არ ფიქრობენ, მაგრამ ისტორიული ტერიტორიის ერთიანობის აღდგენის გარეშე, ოსეთის მომავალი არც ისე ნათელია. მიხეილ ჩერნოვი ერთ-ერთი იმ მცირედთაგანია, ვინც უკვე მრავალი წელია ამ საკითს სვამს...“[3] როგორც ჩანს, იმ პერიოდისთვის ცხინვალის და ვლადიკავკაზის საზოგადოება სათანადოდ დამუშავებული ჯერ ვერ იყო, რასაც ხაზს უსვამს მოყვანილ პასაჟში ი. ამელინა და ამ იდეის აპოლოგეტებიც ცოტანი იყვნენ.

---

[1] იქვე.
[2] Чернов М. И. Осетия: рождение большой мечты. М., 2013, გვ. 5.
[3] იქვე, გვ. 6.

საბჭოთა კავშირისდროინდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვარი ყაზბეგის რაიონთან, საქართველოს სამხედრო გზის მიმდებარე ტერიტორიაზე გადის, ამდენად, გასაკვირი არ არის ცხინვალის/კრემლის პრეტენზიები ყაზბეგის რაიონის თრუსოს ხეობაზე, რომელსაც როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ ოსეთთან აქვს საზღვარი; ბუნებრივია „ორი ოსეთის" გაერთიანების ვექტორმა თრუსოზე უნდა გაიაროს. თრუსო კი, მათებურად „აღმოსავლეთ ოსეთი", საქართველოს განუყოფელი ნაწილია. სწორედ ამიტომ გახდა ბოლო პერიოდში ყაზბეგის რაიონი, მისი ოსური მოსახლეობა და მათი ტერიტორიები, საინფორმაციო ომისა და კრემლის პროპაგანდის ინტენსიური სამიზნე. ჰიბრიდულ ომს მრავალფეროვანი პროპაგანდისტული მეთოდები აქვს: პროპაგანდა იქმნება სხვადასხვა ფორმატში (ტექსტი, აუდიო, ვიდეო, ფოტო მასალა). იგი ვრცელდება განსხვავებული არხებით – ინტერნეტი, სოციალური მედია, რადიო, ტელევიზია, ბეჭდური მედია, საზოგადოების წარმომადგენლებთან პირდაპირი შეხვედრებით და კომუნიკაციით; პროპაგანდა დაფუძნებულია შეთხზულ ამბებზე, რეალური ფაქტების დამახინჯებაზე; ის იქმნება სწრაფად და უწყვეტად. ხშირ შემთხვევაში, ხდება ძველი დეზინფორმაციის ხელახლა გავრცელება და ტირაჟირება; მთავარი ამოცანა არამარტო ტყუილის სიმართლედ წარმოჩენა, არამედ ფაქტების დამახინჯებით სამიზნე ობიექტის/ჯგუფის დაბნევაა, რათა მან ველარ დაინახოს რეალური სურათი[1].

რუსული ჰიბრიდული ომის პროპაგანდისული პოლიტიკის გამოისობით, დღეს ჩრდილოეთ ოსეთსა და თვითაღიარებულ სამხრეთ ოსეთში თითქმის ვერ ნახავთ ადამიანს, ვინც „ორი ოსეთის" გაერთიანების მოსურნე არ იყოს; ოსების ძირძველი ტერიტორიის დაბრუნების და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის იდეით შეფუთული პროპაგანდა სოციალურ ქსელებში პიკს აღწევს, სადაც თვალშისაცემია აღნიშნული ხასიათის სოციალური გვერდების მომხმარებელთა რაოდენობის სწრაფი ზრდა და საზოგადოების სხვადასხვა ფენების აქტიური ჩართულობა. ამ შინაარსის მოთხოვნები პოლიტიკოსებისგანაც უფრო და უფრო რადიკალური ხდება, უფრო ფართო მასშტაბებს იძენს ყაზბეგის რაიონის მიწების ოსეთისთვის მიკუთვნების კამპანია. როგორც ცნობილია, სოციალური ქსელები პროპაგანდის საუკეთესო, სწრაფი და ეფექტური გავრცელების საშუალებაა. მომხმარებელთა რაოდენობის ზრდის პარალელურად იზრდება მისი გავლენა საზოგადოების სხვადასხვა ფენებზე და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მასშტაბებზე.

[1] ჰიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში:
http://eugeorgia.info/ka/article/637/hibriduli-omi-rusul-samxedro-teoriashi/

აღნიშნული მიმართულებით განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევა ვლადიკავკაზელი ოსების ფეისბუქ გვერდი – Казбегский район – часть Осетии-Алании!!!, რომლის სახლწოდებაშიც პირდაპირ იკითხება ყაზბეგის რაიონის ხელში ჩაგდების განზრახვა. სამწუხაროდ, ამ გვერდის შესახებ მეცნიერთა ჯგუფმა მხოლოდ 2020 წელს თრუსოში სამეცნიერო ექსპედიციაში ყოფნისას შეიტყო. არადა, ეს ორენოვანი (რუსული და ოსური) ჯგუფი სამი წლით ადრე – 2017 წელს არის შექმნილი. ადგილობრივი მთხრობლის თქმით: „ჩვენა გვაქვს ჩვენი გვერდი – „ყაზბეგი, თრუსო, კობი“, მაგათ აქვთ თავისი – „Казбегский район – часть Осетии-Алании!!!“ და მიდის მაგარი პაექრობა“. ანუ, ეს ჯგუფი იმ პერიოდში ჩამოყალიბდა, როდესაც ოსეთის პოლიტიკურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ ფრონტზე თრუსოს და, ზოგადად, ყაზბეგის რაიონის საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. თავად ჯუფის შესახებ მოკლე ანოტაციაში ვკითხულობთ: „ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთი-ალანიის აღმოსავლეთი ნაწილი დარჩა ახლადშექმნილი საქართველოს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ მმართველობაში. ეს ტერიტორია პრაქტიკულად ოსეთის ორ რესპუბლიკას შორის მდებარეობს და საბჭოთა პერიოდში ყაზბეგის რეგიონს უწოდებდნენ. ამ რეგიონის ოსური სოფლები მთლიანად განადგურდა იმის გამო, რომ თბილისის რეჟიმმა ოსებისთვის დისკრიმინაციული საცხოვრებელი პირობები შექმნა... გარდა ამისა, მათი (გულისხმობს ყაზბეგის ოსებს, ნ.ჯ.) ძირითადი ნაწილი მოკლებულია ე.წ. საქართველოს საზღვრის გადაკვეთის უფლებას“.

ჯგუფში გაწევრიანების მსურველმა უნდა უპასუხოს შეკითხვებს; მათ შორის პირველი ასეთია: „თვლით თუ არა, რომ საქართველო ოკუპანტია?“. ჯგუფს ჰყავს 2400 წევრი და მისი ადმინისტრატორი არის გაირბეკ სალბითი, იგივე გაირბეკ სალბიევი, რუსეთის შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი, ორგანიზაცია დარიალის ხელმძღვანელი. ქართული საზოგადოების საქმეში ჩახედული ნაწილისთვის ეს ორგანიზაცია და მისი ლიდერიც, თავისი ანტიქართული საქმიანობით და რეაქციული გამოსვლებით, კარგად არის ცნობილი. სალბიევის პოზიციით, არა მარტო კობი და თრუსო, არამედ მთელი ყაზბეგის რაიონი, ანუ „აღმოსავლეთ ოსეთი“, ოსების კუთვნილი მიწებია და ეს ტერიტორიები საქართველოს მიერ არის ოკუპირებული[1].

თუ აღნიშნულ გვერდს დავათვალიერებთ, აშკარად დავინახავთ, რომ მისი მესვეურები მრავალი მიმართულებით „მუშაობენ“: აქ განთავსებულია ქსენოფობიური განცხადებები ქართველების და საქართველოს ხელისუფლების მისამართით, განხილულია საქართველოს მიერ ოსებისთვის მოწყობილი გენოციდის, ისტორიული ტერიტორიების წართმევის, მათი საკუთარი მიწებიდან გამოდევნის, საქართველოს მიერ ოსების ტერიტო-

[1] http://www.frontnews.ge/ge

რიების ანექსიის თემატიკა. თითოეული ფორმულირება გამყარებულია ერთობ სენსიტიური ვიზუალური მასალით, ძირითადად დოკუმენტური ფილმებით და ვიდეო ჩანახატებით; გვერდი აკრიტიკებს საქართველოში მიმდინარე პროცესებს, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკას, პოლიტოკოსებს და საზოგადო მოღვაწეებსაც კი. მაგალითად, პოზნერის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებულ ბოლო დროის მასობრივ ვნებათაღელვას და სხვ. ძირითადად კი ეს პროპაგანდისტული გვერდი ოსეთისთვის „თავისი მიწების“ დაბრუნების, ორი ოსეთის გაერთიენების და ერთიანი ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის მოწოდებაა. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი რესპონდენტის მიერ ზემოთ ნახსენები პაექრობა ქართველ და ოს ფეისბუქმომხმარებლებს შორის ამ გვერდზე ნაკლებად შეიმჩნევა.

რაც შეეხება თავად ორგანიზაცია „დარიალს“, ცნობილია, რომ მის უახლოეს გეგმაში ჯერ საქართველოსთვის თრუსოს ხეობის და გუდაურის წაგლეჯა, მერე თრუსოს ხეობის გავლით სამხრეთ ოსეთის მიერთება კობსა და გუდაურთან, ხოლო უფრო შორსმიმავალ გეგმაში – ორი ოსეთის გაერთიანება უკვე დასაკუთრებული ქართული ტერიტორიებით და რუსეთის შემადგენლობაში შესვლაა. ამ ორგანიზაციას, სავარაუდოდ, აქვს სომეხი ფსევდო-მეცნიერების იმედი, რომელთა დახმარებითაც „მოიპოვებს“ სათანადო სომხურ ისტორიულ წყაროებს, რითაც დამტკიცდება, რომ ყაზბეგის რაიონი ალანთა ძირძველი მიწაა...[1] ეს ფაქტი დაგვიდასტურა ჩვენმა ყაზბეგელმა რესპონდენტმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ ოსებს სომეხი მეცნიერების იმედი აქვთ და ისინი მხარს უჭერენ ოსებს. სომხური ფაქტორი კიდევ ცალკე თემაა რუსული ჰიბრიდული ომის პროპაგანდისტულ ნარატივში. ორგანიზაცია „დარიალი“ სალბიევის თაოსნობით ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტთან ბოლო დრომდე პერმანენტულად აწყობდა პიკეტებს წარმოშობით კობელი და თრუსოელი (დღეს უკვე რუსეთის მოქალაქე) ოსი ეროვნების პირთა ყაზბეგის რაიონში ტრადიციულ რელიგიურ დღეობებზე დასასწრებად და წინაპართა საფლავების მოსანახულებლად შეშვების მოთხოვნით. 2010 წელს, ლარსის საბაჟოს გახსნის შემდეგ, ოფიციალურმა თბილისმა ყაზბეგის რაიონში დესტაბილიზაციის მოსურნე პოლიტიკურად ანგაჟირებულ პირებს ვლადიკავკაზიდან საქართველოში შესვლა აუკრძალა. ოპონენტები ამას „ადამიანის უფლებების დარღვევად“ აფასებენ. არსებობს სიები, რომლის მიხედვითაც საქართველოს შესაბამისი უწყება სიაში დაფიქსირებულ პირებს საზღვარზე არ ატარებს. ამ ე.წ. შავ სიაში დღეს დაახლოებით 200-მდე ადამიანია შეყვანილი, თუმცა თავიდან ის ამ რაოდენობის არ ყოფილა. ამ საკითხს ეხება 2019 წელს ჟურნალისტი ვ, თოხსიროვი და ხაზს უსვამს, რომ ე.წ. შავ სიებში შეყვანილ ჩრდილოეთ ოსეთის მოქალაქეებს რამდენიმე წელია საქართველოს ხელისუფლება

[1] http://expertclub.ge

არ აძლევს მცხეთა-მთიანეთის სასაზღვრო ზოლში მდებარე მათი წინაპრების სახლებისა და სასაფლაოების მონახულების უფლებას, რადგანაც მათ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისაგან მოითხოვეს ამონაწერები საოჯახო დავთრებიდან და მოინდომეს თავიანთი მიწების და სახლების დაკანონება. როგორც დღევანდელი მონაცემებით ირკვევა, საზღვრის გადაკვეთის უფლებას არ აძლევენ დიდწილად ორგანიზაცია „დარიალის“ მხარდამჭერებს; ყაზბეგელი რესპონდენტის ინფორმაციით, სინამდვილეში ამ სიებში შეყვანას სულ სხვა საფუძველი აქვს: „ორგანიზაცია „დარიალის“ ამბები ალბათ იცით. თვითონ დადეს თავიანთი მონაცემები. ჩვენ უშიშროებას 5-6 წელი რო უნდა ებრძოლა და ამ ხალხის სია დაემტკიცა, ამათ აიღეს და გამოაქვეყნეს თავის გვერდზე შემონაწირების სია, რო, ვინ რამდენი შესწირა ჩვენი ორგანიზაციის წევრებმაო და ამათაც ამოყარეს“ (საველე მასალა, ყაზბეგის რაიონი 2010). ასე რომ, მიწების და სახლების დაკანონების თემა პროვოკაციული სატყუარაა, რაზედაც ორივე მხარე შეიძლება წამოეგოს.

დარიალის გარდა, ვლადიკავკაზში სხვა ანტიქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც („გაერთიანებული ოსეთისთვის“ „ყაზბეგი“...) ფუნქციონირებენ, რომლებიც ანალოგიურ საქმიანობას ეწევიან. ამ ორგანიზაციათა პროპაგანდისტული საფუძველიც გაყალბებული ისტორია და ანტიქართული რიტორიკაა. მაგალითად, როგორც აცხადებს „გაერთიანებული ოსეთისთვის“ ლიდერი ა. ხუგაევი, ოსები ცხოვრობდნენ თრუსოს ხეობაში, კობის ქვაბულში, ღუდას ხეობაში, ხოლო ქართველები ამ რეგიონში XIX საუკუნეში გამოჩნდნენ. აქ ყველა ტოპონიმი ოსური წარმოშობისაა: მდინარეები, მთები, ხეობები. აქ არ არსებობს 120 წელზე უფრო ადრინდელი არცერთი ქართული არქეოლოგიური ძეგლი[1].

პრობლემას „დაკარგული მიწების“ შესახებ მუდმივად განიხილავს ჩრდილოეთ ოსეთის პრესასა და ტელევიზიაში ჟურნალისტი ა. თუაევა, რომელიც წარმოშობით კობიდანაა და ისიც ე.წ. შავ სიაშია შეყვანილი. იგი ირწმუნება, რომ ამ ტერიტორიაზე ქართველებს საერთოდ არ უცხოვრიათ და არც მათი ოდესღაც ამ მიწებზე ბინადრობის მტკიცებულება არსებობს, იგი წარმოგვიდგენს „აღმოსავლეთ ოსეთს“, როგორც ოსების საკრალური ტერიტორიას, წმინდა ადგილს, სადაც საუკუნეების მანძილზე თანამედროვე ოსების წინაპრები ცხოვრობდნენ. ამ იდეითაა გაჟღენთილი თუაევას დოკუმენტური ფილმებიც[2], სადაც ავტორი ცდილობს, მეცნიერული არგუმენტებით გაამყაროს პრესაში გაჟღერებული აღნიშნული ფორმულირებები, ერთ-ერთი ასეთი არგუმენტი თრუსოს ხეობაში ღმერ-

[1] Тарханова Ж. Осетины никогда не смирятся с потерей своих земель. 10 Февраль, 2015: https://www.ekhokavkaza.com/a/26840770

[2] Путешествие в трусовское ущелье; Родина ставшая за границей; Трусовское ущелье.

თის ცრემლის დაცემის ადგილზე თარანჯელოზის სალოცავის წარმოქმნის ნართული თქმულებაა, რასაც პოპულისტურ-პროპაგანდისტული ხასიათის მედია ამ ტერიტორიის ოსების ისტორიულ სამშობლოდ და მათ საკრალურ ადგილად წარმოდგენის „საბუთად“ იყენებს. ნართი ბათრაძის დაღუპვის შემდეგ ღმერთმა ძუარებსა და ანგელოზებს უბრძანა ჭაბუკი სოფიოს აკლდამაში დაეკრძალათ, მაგრამ ვერც მათ და ვერც თორმეტმა უღელმა ხარმა ბათრაძის ცხედარი ვერ დაძრეს. მაშინ ღმერთის რჩევით, ძუარებმა თუთირის დღესასწაულზე დაბადებული ორი მოზვერი შეაბეს უღელში და ბათრაძის ცხედარი აკლდამამდე აიტანეს. მიცვალებულის შიგ შეტანა რომ გაუჭირდათ. ანგელოზებმა ისევ ღმერთს მიმართეს; ღმერთმა ციდან სამი ცრემლი ჩამოაგდო, ანგელოზებმა თავისუფლად შეიტანეს აკლდამაში ცხედარი და დამარხეს. ხოლო იქ, სადაც ღმერთის სამი ცრემლი დაეცა, სამი სალოცავი აღიმართა: თარანჯელოზი, მიქალგაბირთა და რექომი[1]. თარანჯელოზი კი, რომელიც მთავარანგელოზის დამახინჯებული ფორმაა, ამ სალოცავის ქართულ წარმოშობაზე მიუთითებს, რის გასაქარწყლებლადაც შეუძლებელია რაიმე მეცნიერული არგუმენტის მოპოვება.

ასე რომ, რუსული ჰიბრიდული ომის პროპაგანდისტული აპარატი, ქართულ მიწებზე პრეტენზიების მქონე მხარესთან ალიანსში, ობიექტური რეალობის უგულებელყოფით, გაყალბებული ისტორიის, დამახინჯებული ფაქტების და ძველი დეზინფორმაციის ხელახლა გავრცელება-ტირაჟირებით ცდილობს გზა გაიკაფოს ერთიანი ოსეთის იდეის რეალიზაციისკენ.

[1] ნართები. ოსურიდან თარგმნა მ. ცხოვრებოვამ, ცხინვალი, 1988, გვ. 272; ხ. მამისიმედიშვილი. ოსური ფოლკლორი. თბ., 2015, გვ. 94-95.

KAZBEGI DISTRICT IN THE CONTEXT OF THE PROPAGANDA POLICY OF THE RUSSIAN HYBRID WARFARE

Natia Jalabadze
Georgia

After the August 2008 war, the Kazbegi region turned out to be in the interests of the Kremlin; however, it remains a constant subject of scientific and political debate. This very important geostrategic area near the Georgian-Russian border was part of the defense line in the Greater Caucasus back in Soviet times. The defense plan of the General Staff of the Ministry of Defense of the USSR was created in case of an alleged war with NATO and included 3 lines defense: 1. On the perimeter of the state border (modern Georgian-Turkish border)[1]. 2. Along the Greater Caucasus Range and 3. In the depths, on the territory of Rostov Oblast and Stavropol Krai. According to the plan, full protection of the line along the Greater Caucasus required control of approximately 40 km south of the ridge, of which 20 km was an active protection zone and 20 km south to it – a passive one. After the collapse of the Soviet Union, the Russian government has been doing its best for establishing the border along the Great Caucasus, with the prospect of controlling the Georgian highlands. According to Georgian experts, this is the reason for Russia's activity in seizing the territory of Georgia adjacent to the Greater Caucasus Mountains[2].

Ivane Javakhishvili wrote about the borders of Georgia: „As if nature itself created the watchman Goliath for the Georgian people – the Greater Caucasus Mountain range to the north and high mountains to the south; Georgia is bordered by the Black Sea on the west and by rivers on the east. in this respect Georgia is one of the magnificently limited countries. By the way, thanks to these conditions, the Georgian people were able to repulse many enemies, often much stronger than themselves, and defend their nationality throughout their long history. Georgia's enemies were well aware of this fact, therefore they repeatedly tried to seize and take away this or that border territory of our country"[3]. Since the 1990s, the Kremlin has been deliberately taking over these border territories.

The Kremlin's attempt not to let Georgia out of its control turned out to be disastrous for our country. The conflicts in Abkhazia and Ossetia, initiated in the 1990s,

---

[1] „After the collapse of the Soviet Union and Georgia's orientation toward NATO, according to the alleged decision of the Russian General Staff, the second defense border automatically became the main border, therefore it acquired a special function" (M. Areshidze, see below).

[2] Areshidze M. Georgian-Russian Border: Current Situation and Threats, in Collection: Georgia-2009, Post-War Challenges and Prospects, Club of Independent Experts, Tbilisi 2010, p. 42.

[3] Iv. Javakhishvili, Borders of Georgia, Tfl,. 1919, p. 2: https://javakhishviliinstitute.files.wordpress.com/2009/07/javaxishvilisazgvrebi.pdf

eventually culminated in the formation of the independent political (albeit unrecognized) entities from these indigenous parts of Georgia. According to expert Mamuka Areshidze, when, after 2004, Georgia's aspiration for NATO became irrevocable, the Russian authorities began to actively work for the seizure of some lands and Georgia's border regions[1]. The fact that the section of Abkhazia and Ossetia of the Georgian-Russian border is outside the control of official Tbilisi is also a result of this policy. However, as mentioned above, the interests of the Kremlin / Ossetia have gone even further, and the Kazbegi region has become their new target after the August 2008 war.

Initially, our opponents focused on the Ossetian-populated areas of the Kazbegi district, namely Truso and Kobi (as well as Ghuda, at the headwaters of Aragvi); as the chairman of the People's Front N. Natadze mentioned in his interviews concerning the Truso Gorge: „… it is of great strategic importance for our enemy. Claims to Truso is the same as announcing „ check" to Georgia and generally the West by the Russians"[2].

Very soon, the claims of Tskhinvali / the Kremlin covered the entire Kazbegi region. In 2009, Kokoity for the first time officially announced his plans for the Truso gorge, noting that during the August war they formed a strong military group aimed not only at capturing the Leningor region but also at the annexation of the historical Ossetian lands of Truso and Kazbegi: „I already had a detachment ready to carry out this task, that is, to reach Kazbegi"[3].

It is obvious that the desire to control this area is motivated by the interest of seizing a strategically important section of the Georgian Military Road, which is part of Russia's far-reaching plan regarding the South Caucasus; among other benefits, this road is the shortest highway connecting Russia with Armenia. Opponents claim that the territory of Ossetian settlement in the Kazbegi district is the historical homeland of the Ossetians, the so-called East Ossetia (sometimes called Central Ossetia) and using propaganda leverage, enroot the idea that „East Ossetia" historically belonged to Ossetians and is the original Ossetian territory, which the Bolsheviks, against the will of the Ossetian people, illegally torn away from their homeland and handed over to the Soviet Socialist Republic of Georgia in the 1920 s.[4] The arguments used by Ossetian scholars (and not only them) to justify this „concept", have no scientific basis and are far from reality.

---

[1] Areshidze M. Thesis, ibid.

[2] Abesadze E. Whose land is Truso gorge and what do the separatists want, 2014: https://for.ge/view/35728/visi-miwaa-Trusos-xeoba-da-ra-surT-separatistebs.html

[3] Kalandadze G. Kokoity outlined the borders of „Great Ossetia". August 26, 2013: https://experti.ge/

[4] Truso - Historical and Ethnocultural Problems. Collective of Authors, R. Edited by Topchishvili, Tb., 2021, p. 14.

In 2021, the collective work of Georgian scholars „Truso – Historical and Ethnocultural Issues“ was published. Historians, ethnologists, art historians, archaeologists and architects have thoroughly studied this area and substantiated that Truso has always been inseparable from Georgia. The Ossetians came here late, they replaced the Dvals who had previously populated this area; part of the Dvals moved from Truso, while some were assimilated by the Ossetians; though the Ossetian element was prevalent, they still adopted elements of culture of the local ethnic group (types of residential or agricultural buildings, construction techniques, forms of agriculture, toponyms, religious cults and traditions, etc.). It became clear from the book that the Ossetian scholars incited by the Kremlin, using falsified history, try to present the area as the ancient homeland of the Ossetians; consequently, they consider it legitimate to demand the assignment of these territories to South Ossetia, which should ultimately end with the unification of „two Ossetias“[1]; Russia will thus capture a geostrategically important area.

In 2013, Mikhail Cherno, a Russian political scientist and expert at the Center for Strategic Conjuncture, published the book Ossetia: The Birth of a Great Dream (Осетия: Рождение Большой Мечты), which can be viewed as the plot of Russia's ossetian scenario against Georgia. This „big dream“ consists of several stages and should end with the return of the historical Ossetian territories and the annexation of the United Ossetia to Russia. The author directly points out that the problem of Ossetia for Russia is in many ways not a question of foreign, but of domestic policy, and if the Republic of South Ossetia does not join Russia, the entire structure of Russia in the Caucasus will be largely destroyed.. [2] The preface to M. Chernov's book is entitled: United Ossetia: the unification of all Ossetian states into a Great State (Единая Осетия: объединение всех осетинских земель в составе Большой страны)“, which is the core idea of the book.

Yana Amelina, today secretary-coordinator of the Caucasian Geopolitical Club and Head of the Information and Analytical Center Border of the Present, which in political circles is considered the defender of the interests of Ossetians, in the preface to Michail Chernov's book shares the author's idea regarding united Ossetia. She writes: „Ossetians will solve great problems throughout the united Ossetia, Russia and the Eurasian Union of Peoples. The matter concerns not only present-day South Ossetia, but also the return of the lands of Trialeti Ossetia, Kazbegi and Gori regions of current Georgia, as well as the city of Oni and its environs into a single Ossetia. Vladikavkaz and Tskhinvali, apparently, are not yet thinking enough about this, but without restoring the unity of the historical territory, the future of Ossetia is not so clear. Mikhail Chernov is one of the few who has been raising this question for many

[1] Ibid.
[2] Чернов М. И. Осетия: рождение большой мечты. М., 2013. p. 5.

years..."[1] It seems that then the society of Tskhinvali and Vladikavkaz was not yet properly brainwashed, which is emphasized in the passage by Amelina; there were few apologists for this idea either.

The administrative border of the Soviet-era South Ossetian Autonomous District runs along the territory adjacent to the Georgian Military Road in the Kazbegi region, so it is not surprising that Tskhinvali / Russia claims to the Kazbegi Truso gorge, which borders both South and North Ossetia; Naturally, the vector of unification of „South and North Ossetia" must pass through Truso. Truso", „East Ossetia" in their way, is an integral part of Georgia. That is why the Kazbegi region, its Ossetian population and their territories have recently become a constant target of information warfare and Kremlin propaganda. Hybrid warfare has a variety of propaganda methods: propaganda is created in different formats (text, audio, video, photo material). It is spread through various channels – Internet, social media, radio, television, print media, through direct meetings and communication with members of the public; Propaganda is based on fabricated stories, distortions of real facts; It is created quickly and continuously. In many cases, old misinformation is redistributed and replicated; The main task is not only to present the truth as a lie but also to confuse the target object/group by distorting the facts so that he can no longer see the real picture[2].

Due to the propaganda policy of the Russian hybrid war, today in North Ossetia and the self-proclaimed South Ossetia there is hardly anyone who does not want the unification of „two Ossetias"; The propaganda aimed at returning the territory of the indigenous Ossetians and restoring historical justice reaches its peak on social networks, where there is a rapid increase in the number of users of these social sites and the active participation of various sectors of society. Demands of this type from politicians are becoming more and more radical, the campaign for the transfer of lands of the Kazbegi region to Ossetia is gaining momentum. As it is known, social networks are the best, fast and effective way of spreading propaganda. As the number of consumers grows, so does its impact on various segments of society and the scale of public opinion formation.

The Facebook page of the Vladikavkaz Ossetians – Kazbegi region is part of Ossetia-Alania!!! is especially active in this direction. Its name openly speaks of the intentions to seize the Kazbegi region. This bilingual (Russian-Ossetian) group was created in 2017. According to a local narrator from Kazbegi: „We have our own page – „Kazbegi, Truso, Kobi", they have their own – „Kazbegi district is part of Ossetia-Alania!!!" And there is a fierce discussion between us". This group was formed at a time when the issue of Truso and the Kazbegi region, in general, was gaining more significance on the Ossetian political, scientific and social front. In a brief annotation

[1] Ibid, p. 6.
[2] Hybrid warfare in Russian military theory: http://eugeorgia.info/ka

of the page we read about the group itself: „The eastern part of North and South Ossetia-Alania[1] remained under the administrative and economic control of the newly formed Georgian state. This region is practically located between the two republics of Ossetia and in Soviet times was called the Kazbegi region. Ossetian villages in this region were completely destroyed due to the fact that the Tbilisi regime created discriminatory living conditions for the Ossetians... In addition, most of them (meaning the Ossetians of Kazbegi, N.J.) are deprived of the so-called Right to cross the Georgian border".

Anyone wishing to join the group must answer questions; the first of them is: „Do you think that Georgia is an occupier?". The group has 2400 members and its administrator is Gairbek Salbiti, the same Gairbek Salbiev, a former high-ranking official of the Russian Ministry of Internal Affairs, head of the organization Darial. For the knowledgeable Georgian public, this organization and its leader are well known for their anti-Georgian activities and reactionary speeches. According to Salbiev, not only Kobi and Truso, but the entire Kazbegi region, or „East Ossetia", are lands belonging to Ossetians, and these territories are occupied by Georgia[2].

If we view this page, we will clearly see that its leaders are „working" in many directions: xenophobic statements against the Georgians and the Georgian government, the genocide committed by Georgians against the Ossetians, the seizure of historical territories, their expulsion from their lands, the annexation of the Ossetian territories by Georgia are posted here. Each formulation is backed by sensitive visual material, mainly documentaries and video sketches; the page criticizes the ongoing processes in Georgia, the policy of our country, politicians and even public figures. For example, the recent mass unrest related to Posner's visit to Georgia, etc. Basically, this propaganda page is a call for Ossetia to return „its lands", unite the „two Ossetia" and annex United Ossetia to Russia. It should also be noted that the dispute between the Georgian and Ossetian Facebook users on this page mentioned by our respondent is not so fierce.

As for the organization Darial itself, it is known that its immediate plan is to to seize the Truso gorge and Gudauri, then join South Ossetia to Kobi and Gudauri via the Truso gorge, and in a more far-reaching plan – unite two Ossetias, with already occupied Georgian territories, and become part of Russia. This organization, presumably, relies on Armenian pseudo-scientists, with the help of which they will „obtain" the corresponding Armenian historical sources, proving that the Kazbegi region is the ancestral land of the Alans[3]. This fact was confirmed by our respondent from Kazbegi, who noted that Ossetians confirmed that they rely on Armenian scientists and are

[1] This inappropriate concept could be written mechanically or deliberately.
[2] http://www.frontnews.ge/ge
[3] http://expertclub.ge

supported by them. The Armenian factor is another separate topic in the propaganda narrative of the Russian hybrid war.

Until recently, the organization Darial, led by Salbiev, held regular pickets at the Upper Lars border crossing, demanding to give the right to Ossetians, former residents of Kobi and Truso, now the citizens of Russia, to cross the border to attend their religious holidays and visit the cemeteries of their ancestors. After the opening of the Lars checkpoint, the Georgian government has banned politically motivated persons from Vladikavkaz from entering Georgia for the fear of destabilization. Opponents assess this as a violation of human rights. There are lists according to which the Georgian Security Service does not allow the listed persons to cross the border. About 200 people have been included in this so-called blacklist, although at first there were not so many of them. Journalist V. Tokhsirov addresses this issue in 2019 and emphasizes that the blacklist citizens of North Ossetia are not allowed to visit the houses and cemeteries of their ancestors in the border region of Mtskheta-Mtianeti because they demanded extracts from the family books from the Kazbegi Municipality and wanted to legalize their lands and houses.

As can be seen from today's data, mostly supporters of the Darial are not allowed to cross the border. According to a respondent from Kazbegi, in fact, the principle of their inclusion in these lists is completely different: „They themselves revealed their data. Ours would have to struggle to make this list for 5-6 years, but they took and published it on their page - a list of donations, how much and who donated to the organization, and ours recorded all this" (Field material, Kazbegi district, 2010). So the topic of the legalization of land and houses is a provocative bait that both sides can fall for.

In addition to Darial, there are other anti-Georgian public organizations in Vladikavkaz (For United Ossetia, Kazbeg...) that carry out similar activities. Their propaganda is also based on falsified history and anti-Georgian rhetoric. For example, according to the leader of the organization For United Ossetia A. Khugaev, Ossetians lived in Truso, the Kobi Basin and the Guda Gorge; Georgians appeared in this region in the 19th century. All toponyms here are of Ossetian origin: rivers, mountains, valleys. There are no Georgian archeological monuments that are more than 120 years old[1].

The issue of „lost lands" is constantly discussed in the North Ossetian press and television by journalist A. Tuaeva, who is originally from Kobi and is also blacklisted. She asserts that Georgians did not live in the area at all and that there was no evidence that they ever inhabited the land. Tuaeva's documentaries are also imbued

[1] Тарханова Ж. Осетины никогда не смирятся с потерей своих земель. Февраль 10, 2015: https://www.ekhokavkaza.com/a/26840770

with this idea[1], where the author tries to support the above-mentioned formulations voiced in the press with scientific arguments.

One of these arguments is the narrative of the formation of the Taranjeloz shrine at the place where one tear of God fell in the Truso Gorge. This story is used by the populist-propaganda media as a „document“ to present these territories as the Ossetian historical homeland and their sacred place. After the death of Nart Batradz, God ordered local deities and angels to bury the young man in Sophia crypt. But neither they nor the twelve oxen could move Batradz's body. Then, on the advice of God, the local deities harnessed two oxen born on the day of Tutir and carried Batradze's body to the grave. When it was difficult to bring in the dead, the angels again asked God for help. God shed three tears from heaven, angels brought the corpse into the crypt and buried it. And where three tears of God fell, three shrines were erected: Tarangeloz, Mikalgabirta and Rekom[2]. The name Tarangelos, which is a distorted form of an Archangel (მთავარანგელოზი), indicates the Georgian origin of this shrine, which cannot be refuted by any scientific argument.

Thus, the propaganda apparatus of the Russian hybrid warfare, in alliance with the party claiming the Georgian lands tries to prepare the ground for the implementation of the idea of a united Ossetia, through ignoring objective reality, spreading false history and distorted facts.

---

[1] Путешествие в трусовское ущелье; Родина ставшая за границей; Трусовское ущелье.

[2] Narts. translated from ossetian by Tskhovrebova, Tskhinval, 1988, p. 272; Mamisimedishvili Kh. Ossetian Folklore. Tb., 2015, pp. 94-95.